№ 50 მარტი 8, ოთხშაბათი 1889 მარტი 8. ოთხშაბათი № 50

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში).

ქუთაისში: ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В ъ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული კონცერტი

კვირას, 12 მარტს

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო

გამართავს სრულიად

ახალ სიმღერების

**კონცერტს**

ბ-ნ ა. ი. ბერიძის ლოტბარობით.

ამ კონცერტში ერთს განყოფილებას შეასრულებს ბ-ნ აღნიაშვილის მიერვე ახლად შედგენილი

კეთილშობილ ქალთა ხორო,

რომელიც შესდგება 18 ქართულად ჩაცმულ-დახურულ ქართველ მომღერალ-ქალთაგან.

ტფილისი, 7 მარტი

ეხლანდელ მთავარ-მინისტრს საფრანგეთისას ტირარს აბრალებენ, რომ მისმა წინ-დაუხედაობამ გააძლიერა და ხმა გაუგდო ბულანჟესაო. თითქმის ეგევ სამინისტრო იყო მაშინაც, როცა ბულანჟე მხედრობისაგან დაითხოვეს და ეხლა ამბობენ, რომ სწორედ ამ დევნულებამ გაუკეთა სახელი ბულანჟესაო. ტირარი დღესაც წინანდელ პოლიტიკას მისდევს ბულანჟეს შესახებ და მედგრად ებრძვის ბულანჟობას საფრანგეთში. პირველი, რასაც ახალმა სამინისტრომ მოჰკიდა ხელი, იყო ერთი საზოგადოება, რომელსაც სათავეში ბულანჟეს მომხრე პოეტი დერულედი ედგა და რომელსაც «მამულის-შვილთა კავშირს» ეძახიან. ამ საზოგადოებამ დიდი შემწეობა აღმოუჩინა ბულანჟეს, როცა ამან ასე სახელოვანად გაიმარჯვა პარიჟის არჩევანებზე. ამავე შემწეობის შიში ჰქონდა სამინისტროს სამერმისოდაც, რადგანაც მოახლოვებულია ჟამი ახალის საერთო არჩევანებისა და ვაი თუ ბულანჟემ ამ არჩევანებზედაც გაიმარჯვოსო.

ამ შიშის გამო სამინისტრომ საჭიროდ დაინახა გაეუქმებინა ხსენებული «კავშირი» და მისნი მოთავენი სამართალში მიეცა, როგორც კანონით აღკრძალულის საზოგადოების შემადგენელნი და მართველნი. არ ვიცით, რამდენად გასჭრის ეს ღონის ძიება, და ეს-კი აშკარაა, რომ მარტო ამაზედ არ გაჩერდა ეხლანდელი სამინისტრო და სხვა სახსარსაც მოჰკიდა ხელი ბულანჟეს დასამარცხებლად. ცნობილია, რომ ბულანჟეს მომხრეობენ ყველა გვარნი მონარქიელნი და სხვათა შორის ორლეანელნიცა, ესე იგი, ისინი, ვისაც ჰსურთ ორლეანის პრინცი აიყვანონ საფრანგეთის სამეფო ტახტზედ. რომ ამ მონარქიელთა შორის განხეთქილება ჩამოაგდოს და ამით შეასუსტოს მომხრეობა ბულანჟესი, ტირარის სამინისტრომ ერთი ღონე იღონა, რომელიც თვით ფლოკესაც ჰქონებია უზურში, როცა მთავარ-მინისტრად იყო.

ჩვენს მკითხველებს უნდა ახსოვდეს, რომ გრევის პრეზიდენტობის დროს ჰერცოგი ომალისა განდევნილ იყო საფრანგეთიდამ. ეს ჰერცოგი, როგორც სახლი-კაცი ორლეანის პრინცისა და დიდად მსურველი, რომ ორლეანის გვარეულობა გამეფდეს საფრანგეთში, შეიქმნა იმ ღონეთ, რომელმაც უნდა ჩამოაცალოს ბულანჟეს მთელი დასი ორლეანებისა. ჰფიქრობენ, ვითომ რაკი ჰერცოგი ომალისა საფრანგეთში დაბრუნდება, დასი ორლეანებისა ჩამოეცლება ბულანჟესა და ჰერცოგის გარშემო მოიყრის თავსაო. ამ მხრით დიდ-ძალი კენჭი დააკლდება ბულანჟესა საერთო არჩევანებზედაო. ამიტომაც სამინისტრომ სარჩიელი შეიტანა პალატაში, რომ ჰერცოგს ომალისას ნება მიეცეს ხელ-ახლად დაბრუნდეს საფრანგეთში საცხოვრებლად.

ყოველ ამას შორის ბულანჟე თავისას არ იშლის და დღე მუდამ ჰხმაურობს საფრანგეთში. ეხლა ყველა აშკარად ჰხედავს, რომ ბულანჟეს ირგვლივ თავს იყრიან უფრო კონსერვატორები, კლერიკალები და სხვა ამისთანა ძველის მოძღვრების კაცნი, თუმცა ზოგიერთი რესპუბლიკელები და რადიკალებიც ურევიან. თვითონ ბულანჟესაც თითქო უგვრძნია, რომ მისი ღონე ამათი მობირებაა და ამიტომაც არაფერს ჰზოგავს ამათის გულის მოსაგებად. თუ გუშინდელი დეპეშა მართალია და ბულანჟეს ის უთქვამს ტურში, რასაც დეპეშა გვაუწყებს, მაშინ უეჭველია რა განზრახვითაც საქმობს ბულანჟე საფრანგეთში. ჩვენი პროგრამა ის არისო, რომ საფრანგეთში რესპუბლიკა იყოს, მხოლოდ ისეთი-კი, რომელსაც ძლიერი მთავრობა ჰმართავდეს და ყოველს სარწმუნოებას შეიწყნარებდესო. იქნება ყოველივე ეს სასურველი იყოს საფრანგეთისათვის, მაგრამ ეს «გაძლიერება მთავრობისა და შეწყნარება სარწმუნოებისა» იმისთანა სიტყვებია, რომელთაც ასეც უზამთ თავს და ისეც და ორ გზითვე მართალი იქნებით. ეს ნათქვამი ორპირი და ორ-გულია, თუ ესე ითქმის. ეს დიქტატორობას და კლერიკალობასაც თავს უკრავს და საფრანგეთის ერის წყურვილსაც, აქედ მთისაც არის და იქითისაც. ეს ორისავე მხარის თავის მოქონებაა და რომელს გამოავლებს პირში ჩალას ბულანჟე, თუ ვინიცობაა ალჩუ დაუჯდა, ამას დრო გამოაჩენს და ჩვენ-კი ბულანჟესი არა გვწამსრა.

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს არ მოხდა კრება ქალაქის საბჭოსი, რადგან ხმოსნები ნაკლებად მოვიდნენ.

*** ამ ექვსის წლის წინად, სახელდობრ 16 თებერვალს 1883 წელს, პირველ კლასიკურ გიმნაზიაში სასადილო ოთახიდამ 30 ვერცხლის კოვზი დაიკარგა. კოვზები მოეპარათ გიმნაზიის შეგირდებს დავით ვახვახიშვილსა და ქარუმიძეს, რომელნიც გაებრიყვებინა მათსავე ამხანაგს შეგირდს სერგო მღებრიშვილს, ტფილისის მცხოვრებლის სომხის შვილს. ამას გარდა დავით ვახვახიშვილს მოუპარავს მეხუთე კლასის შეგირდისათვის 20 მანათი ფული. ამ დამნაშავეთა საქმე გუშინ, 6 მარტს, გაარჩიეს ტფილისის ოლქის სასამართლოში. სასამართლომ გადუწყვიტა ვახვახიშვილსა და ქარუმიძეს ციხე ერთის თთვით, ხოლო სერგო მღებრიშვილს — სამის თთვით.

*** მტკვარმა ამ უკანასკნელს დღეებში ძალიან მოიმატა. რიყეზე ერთი წისქვილი მოუტაცნია კიდეც ადიდებულს მტკვარს. რიყის მცხოვრებნი ძალიან შეშინებულნი არიან. ზოგს კიდეც შევარდნია წყალი სახლებში. რამდენსამე ვაჭარს დაუცლია თავისი დუქნები და საქონელი სხვაგან დაუბინავებია. ეტყობა, რიყე წელსაც, როგორც შარშან, ღვთის ანაბარად

# ფელეტონი

## ზადიგი

### XIX *)

### ასპარეზობა

დედოფალი ბაბილონში ისე კარგად მიიღეს, როგორც უბედურს დედაკაცსა და მშვენიერს პრინცესას შეეფერებოდა. ბაბილონი დამშვიდებული იყო. გირკანის პრინცი ბრძოლის დროს მოეკლათ. გამარჯვებულმა ბაბილონელებმა გამოაცხადეს, რომ ასტარტა იმისი ცოლი უნდა შეიქმნას, ვისაც ჩვენ ამოვირჩევთ მეფედაო. ამომრჩეველთ არ უნდოდათ, რომ ბაბილონში პირველის ადგილის დაჭერა, ასტარტას ქმრადა და ბაბილონის მეფედ ყოფნა ხრიკებისა და სხვა-დასხვა მანქანების წყალობით შესძლებოდა ვისმე. ფიცი დასდეს, რომ მეფედ ყველაზედ მამაცი და ბრძენი კაცი ამოვირჩიოთო. ქალაქიდგან რამდენსამე ვერსზედ ააშენეს უშველებელი ასპარეზი, მშვენიერის ზემებით გარ-შემოვლებულია მოქიშპეთ აქ, ამ ადგილას უნდა მოეყარათ ყოველ მხრიდგან თავი. ყველა მოასპარეზეთაგანს ზემს უკან განსაკუთრებული სადგომი ჰქონდა, საიდგანაც არავის არ უნდა დაჰნახვებოდა და სჩვენებოდა. მებრძოლს ოთხს შუბს ქვეშ უნდა გაევლო, ე. ი. ოთხს უნდა შეჰბრძოლებოდა პირველშივე. თუ ამ ოთხს ბევრნი დაამარცხებდნენ, მაშინ ეს დამმარცხებელნიც უნდა შეჰკამათებოდნენ ერთმანეთს და ყველაზედ ბოლოს ვინც დარჩებოდა, ის უნდა გამოეცხადებინათ გამარჯვებულად. ეს კაცი ოთხის დღის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო იმავე იარაღით აღჭურვილი, რომელშიაც გაემარჯვნა, და მოგვთა მიერ ნათქვამი გამოცანები აეხსნა. თუ გამოცანებს ვერ ახსნიდა, მეფობას არ მისცემდნენ, კვლავ მსურველთა შორის ბრძოლა და ასპარეზობა მოხდებოდა და ყველაზედ მხნესა და მამაცს კვლავ გამოცანებით გამოსცდიდნენ. ამ ორ გვარს გამოცდაში უნდა გაემარჯვნა სამეფო კაცს, რადგან ბაბილონელთ უეჭველად უმამაცესი და უმეცნიერესი კაცი უნდოდათ მეფედ ეშოვნათ. დედოფალიც არავის არ უნდა დაჰნახვებოდა; შეეძლო ბრძოლას დასწრებოდა, ხოლო რიდეაფარებულს-კი. უსამართლობისა და უკანონობის ასაცილებლად ასტარტა არავის მებრძოლთა და მეფობის მსურველთაგანს არ უნდა დაჰლაპარაკებოდა. მთელი ეს ამბავი დედოფალმა ზადიგს აცნობა და თან შეუთვალა: იმედი მაქვს, ჩემი სიყვარული იმდენს ძალას მოგცემს, რომ ყველაზედ მეტი სიმამაცე და ჭკუა გამოიჩინოვო.

ზადიგი ევფრატის ნაპირზედ სწორეთ ამ დღესასწაულის წინა დღეს ჩამოხდა. ყმაწვილმა კაცმა განაცხადა სურვილი, რომ ჯიბრსა და კამათში მონაწილეობა მეც მინდა მივიღოვო, თავისი სახე და წოდება ყველას დაუფარა და დასასვენებლად იმ სადგომში დაბინავდა, რომელიც წილად ჰხვდა. ზადიგის მეგობარი კადორი, ამხანაგის ამაოდ ძებნის შემდეგ ეგვიპტეს, ბაბილონშივე დაბრუნდა და ყმაწვილს კაცს მიუტანა იარაღი და ტანისამოსი, ასტარტას მიერ გამოგზავნილი, ხოლო თავისით-კი მშვენიერი სპარსული ცხენი მიუყვანა. ზადიგი მიჰხვდა, რომ ეს იარაღი და ტანთსაცმელი დედოფლის საჩუქარიაო და გული გაუმხნევდა, იმედი და სასოება გაუასკეცდა.

მეორე დღეს, როცა დედოფალი დაბინავდა თვალ-მარგალიტით მოფენილ თალს ქვეშ და ზემები აივსო ბაბილონის ქალებითა და დიდ-კაცობით, მებრძოლნიც გამოვიდნენ ასპარეზზედ. შებრძოლების წილი ჰყარეს და პირველობა ერგო ერთს მდიდარს კაცს, სახელად იტობადს. იტობადი მეტად გულ-ზვიადი, მოუხეშავი, უგუნური და მფრთხალი კაცი იყო. მოსამსახურეებმა დაარწმუნეს — მეფე უნდა იყოვო, და ისიც დაეთანხმა: „ჩემისთანა კაცი მეფედ ძალიან ივარგებსო“. იტობადი შეიარაღებული იყო თავით-ფეხამდე: ლურჯად მოსევადებული ოქროს აბჯარი ეცვა, ლურჯი ზუჩი ეხურა და შუბიც ლურჯის ლენტებითა ჰქონდა მორთულ-შეხამებული. ცხენის მართვა-ხმარებაზედვე ეტყობოდა იტობადს, რომ ის არ უნდა ყოფილიყო იგი რჩეული, რომელსაც ბაბილონის გვირგვინი და სკიპტრა ერგებოდა. პირველმავე მებრძოლმა ეს კაცი ცხენიდგან გადმოაგდო, მეორემ — ცხენზედვე გადმოაბრუნა. ძირს დაცემული იტობადი ისე უხერხულად წამოდგა ფეხზედ, რომ მაყურებელთ ხარხარი დაიწყეს და დასცინოდნენ. მესამე მხედარმა შუბი არც-კი აკადრა, მარჯვენა ფეხში წამოავლო ხელი, ჯერ აკინკილა შემოატარა და შემდეგ ქვიშაზედ გადააგდო პირ-უკულმა. მეთვალყურენი მისცვივდნენ და იტობადი ცხენზედვე შესვეს. მეოთხე მხედარმა მარცხენა ფეხში სტაცა ხელი და ისე გადმოაპირქვავა. სტვენით მიიყვანეს საბრალო იტობადი თავისს სადგომამდე, სადაც, წესისამებრ, ის ღამე უნდა დარჩენილიყო.

დანარჩენ რაინდთ უკეთ შეასრულეს თავისი მოვალეობა. ზოგიერთნი ისეთნიც გამოჩნდნენ, რომ ორი მებრძოლი დაამარცხეს, ზოგმა სამსაც-კი სძლია. მხოლოდ ერთმა პრინცმა ოტიმ გაიმარჯვა ოთხზედვე. ბოლოს ზადიგი გამოვიდა ასპარეზზედ.

ზადიგმა ოთხი მხედარი დიდის ოსტატობითა და სიმარდით ჩამოაგდო ცხენიდგან. ეხლა მხოლოდ ისღა ჰქონდათ გადასწყვეტი, ვინ უნდა ეღიარებინათ გამარჯვებულად: ოტამი თუ ზადიგი. ოტამს ცისფერი ოქრო-ნარევი აბჯარი ეცვა და ასეთივე ზუჩი ეხურა, ზადიგის აბჯარი თეთრი იყო.

*) იხ. „ივერია“ №№ 12, 14, 19, 25, 31, 37, 40 და 46.

არის დატოვებული და იმათთვის არავინა ჰზრუნავს.

*** ჩვენს გლეხ-კაცებში მამულების შეძენის წადილი დღიდგან დღეზე თავს იჩენს. ამ საქმეში განსაკუთრებით შესანიშნავია მთიან ადგილების მოსახლე გლეხობა. არაგვიდამ და თერგის ხეობიდამ გადმოსულებმა მამულები შეიძინეს ამ უკანასკნელ წლებში მანგლისისაკენ. ამ დღეებში თიანეთში თავ. ლევან ჭავჭავაძისაგან ხუთმა კომლმა იყიდა 80 დღიური მიწა, დღიური 8 მანათად. მანგლისისაკენ დასახლება ბევრს უნდა, მაგრამ რამდენიმე მიზეზია, რომ ვერ გადმოსულან. პირველი მიზეზი ის არის, რომ საბატონო მამულს ერიდებიან, ბოლოს არ გაგვიჭირდესო, და ყიდვით-კი ვერ უყიდნიათ, რადგანაც მეტს ფასსა სთხოვენ. ამ უკანასკნელ ხანში ერთი მიზეზიც მიემატა: ხმა გავარდნილა ხალხში, რომ მიწას სახელმწიფო გადასახადი ბევრი დაედებაო. ეს ტყუილი ხმა, რასაკვირველია, ჩარჩ მედუქნეებისაგან იქნება დაყრილი, რომ თითონ ნაკლებ ფასად ჩაიგდონ გასაყიდი მამულები და გლეხი არ მიუშვან.

*** მოხევეებში ამბავი მოსულა საჩეჩნოდგანა და ყიზლარის მხრიდგან, რომ იმ ადგილებში იმათ ცხვარს ამ ზამთრის ყინვაში დიდი ზიანი მოსვლია. ას სულ ცხვარში ოცი ძლივს გადაურჩაო. ამის გამო მოხევეები ძალიან შეწუხებულნი არიან.

*** კვირა დღეს, 5 მარტს, ტფილისში ვანქის ეკკლესიაში წირვა გადუხადეს განსვენებულ სტეფანე ბალასანს, რომელიც თებერვალში გარდაიცვალა ეჩმიაძინში. განსვენებული ერთს დროს მასწავლებლად იყო სომხურის ენისა ტფილისის რეალურ სასწავლებელშიდა ფრანგულისა, —სომეხთა სემენარიაში. ბოლოს ხანებში ფრანგის ენის მასწავლებლად იყო ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიაში. იგი გადმოვიდა ტფილისს რუმინიიდამ და აქ დაბინავდა. კარგი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა პედაგოგობით და მწერლობით, მან დასწერა სომხურის ენის გრამატიკა, ისტორია ლიტერატურისა და სხვა. აგრეთვე მონაწილეობას იღებდა სომხურ ჟურნალ-გაზეთებშიაც. წირვაზე დაესწრო დიდ-ძალი ხალხი, ინტელიგენცია და სომეხთა ჟურნალ-გაზეთობის წარმომადგენელნი და მოღვაწენი.

*** ტყიბულის რკინის გზაზე, როგორც სჩანს განცხადებიდამ, მარტის 1-დგან მატარებელი ივლის მუდამ დღე. ტყიბულიდამ გამოდის დილის 6 საათსა და 50 წუთზე და მოდის ქუთაისს 10 საათსა და 21 წუთზედ. ქუთაისიდამ გადის ნაშუადღევის 2 საათზე, გელათში დგება 2 საათსა და 39 წუთზე და ტყიბულში 5 საათსა და 32 წუთზე

*** როგორც ვიცით, გურიაში ქურდობა-ცარცვის მოსასპობლად დარაჯები დააყენეს. გუბერნატორის მიწერილობისამებრ 21 მარტს დანიშნულია 31 „ურიადნიკი“ და 69 ყარაული. ესენი დანიშნულნი არიან ოზურგეთის მაზრის 31 სამამასახლისოში. ამ ყარაულებში დანიშნულები არიან ქობულეთლებიც, სახელდობრ, ნატანების, სათარგშის, ოზურგეთის, ნაგომარისა და ჩოხატაურის სამამასახლისოებში.

*** აჭარას: სოფ. უჩხიტში შემდეგი საზარელი ამბავი მოჰხდა: ამ სოფლის მცხოვრებლებს ქემალჰასი ახმედ-ოღლის და მოლა ისმაილ-ოღლის ჰქონდათ ერთმანეთში მტრობა და ზღევდნენ ერთმანეთს მოსაკვლელად. 16 თებერვალს ქემალჰას ახმედ-ოღლის ეზოში ჩაუსაფრდნენ. იმ დროს ქემალას სახლიდან გამოვიდა თოთხმეტის წლის ქალი შეშის მოსატანად. დამალულმა კაცებმა თოფი ესროლეს საწყალს ქალს მარცხენა მხარში და იქვე სული გააფრთხობინეს.

*** «ქუთაისის უწყებიდამ» სჩანს, რომ თებერვლის 19 ქუთაისის გუბერნატორის მიწერილობის ძალით ქუთაისის მაზრის უფროსებს, ბათუმის ოლქებისას და აგრეთვე პოლიციის უფროსებს ბრძანება მისვლიათ, რომ ფულის ანგარიში მუდამ თთვე რიგიანად აწარმოვონ და არა ისე, როგორც დღევანდლამდე ყოფილა.

*** იმავე გაზეთში ნაამბობია, რომ ზედა-აჭარაში, სოფელ ხულას, იანვრის ბოლო დღეებში, ახმედ ოსმან-ოღლი ვანაძე სადღაც დაკარგულა და აღარ გამოჩენილა. ამ საქმეზე გამოძიება დაუნიშნავთ და აღმოჩენილა, რომ ახმედ ვანაძის ძმის წულს შაბან რეჯებ-ოღლი ვანაძეს და ხულელს მუსტაფა მამედ-ოღლის დაურჩვიათ ახმედა და გვამი დაუმარხავთ, რათა ძმის-წულმა ჩაიგდოს ბიძის მამული და ქონებაო. შაბან ვანაძე ამ საქმის თაობაზე ახლა დაუჭერიათ და დატუსაღებულია.

*** იგივე გაზეთი გვატყობინებს, რომ ქობულეთს, აჭყვის ტყეში, დიდი ცეცხლი გაჩენილა და ორის ვერსის სიგრძეზე ტყე სულ გადამწვარა.

◆◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ბაღდადი.** ეს არის დიდი სავაჭრო სოფელი, სადაც ხანდახან იარმუკაც იმართება. მთელს ფერდობებზე ლომსიანთხევ-საჩინო—საჯავახოს გაყოლება სოფლების მცხოვრებლები იკრიბებიან ამ სოფელში და დიმში სავაჭროდ და აღებ-მიცემობისათვის. დიმის ღვინო განთქმულია. ბევრს წარჩინებულს მებატონეებს ქუთაისისა და შორაპნის მაზრებისას ბაღდადისა და დიმის მახლობლად აქვთ ვენახები, ზვრები და სასარგებლო ტყეები. ბაღდადი კიდევ იმითია შესანიშნავი, რომ იგი მდებარეობს ქუთაის-ახალციხის-აბასთუმნის შემაერთებელ გზატკეცილზე, რომელზედაც დიდი მისვლა-მოსვლაა გამართული, მეტადრე ზაფხულობით, როცა იმერეთის ხალხი დაიძვრის ხოლმე საექიმოდ აბასთუმნისა და ურავლის წყლებზე; ზამთრობით-კი მთელი მოვაჭრე და მიწის მწარმოებელი ხალხი ახალციხისა და ახალქალაქის მთა-ბარისა თავისის ნაწარმოებით არის ქარავნად გაბმული. იქიდგან მოაქვთ ქუთაისს ხილი, კარტოფილი, ერბო, ყველი, საიარაღო და საკურტნე ნაბდები და ნაქსოვი შალები. თვით უმაღლესს მთავრობას ჯეროვანი ყურადღება აქვს ამ დიდს საქარავნო გზაზე მიქცეული. ის საკვირველი და ბუნების დიდებულებით აღსავსე ზეკარის ხეობა თვით ამ საქარავნო გზის მიდამო მდებარეობს. რადგან ეს გზა მთელს უწინდელს სამცხე-საათაბაგოს ვაკე-გორას აერთებს იმერეთ-ოდიშ-გურია-აფხაზეთთან, ამისთვის დიდი სამხედრო მნიშვნელობაცა აქვს.

1878 წელს მთავრობამ საჭიროდ დაინახა ს. ბაღდადში გაემართა სამოსამართლო და საადმინისტრაცია განყოფილებანი ქუთაისის მაზრისა, რადგან ქუთაისის მაზრის მთის ხალხს ეშორებოდა ქ. ქუთაისს სიარული საქმეების გამო. ამ სახით ბაღდადი შეიქმნა საადმინისტრაციო და სამოსამართლო შუაგული ახალციხის მთის გადმოლმა კალთებსა და ხეობებში დასახლებულ ხალხისა. ამის გამო ბაღდადისა და ქუთაისის მჭიდროდ შეერთება გზატკეცილით კიდევ უფრო საჭირო შეიქნა და ეს გზატკეცილი რომ ყოველთვის კარგს მდგომარეობაში ყოფილიყო, მთავრობამ ალაგო აგრეთვე შლაგბაუმიცა, რომ გამვლელ - გამომვლელს გზის შესაკეთებელი ფული ეხადა. მთავრობას განზრახვა ჰქონდა ამ დიდს საქარავნო გზაზე ფოსტაც გაემართა, მაგრამ რადგან ჯერ ჯერობით ეს განზრახვა არ მოყვანილა სისრულეში, ამ ორის წლის წინად ბაღდადსა და ქუთაისს შუა კერძო კაცმა აიღო იჯარით სამგზავრო ეტლის (ომნიბუსის) გაწყობა. თუმცა მგზავრები საკმაოდ არიან და თვით სამგზავრო ეტლის მოიჯარადრესაც უნდა ჰქონდეს გულის შესაჯერი მოგება, მაგრამ გზა-კი ღმერთმა დაიფაროს. არავითარი ყურადღება არავის არა აქვს მიქცეული გზის ავ-კარგიანობაზე. ეს ორი წელიწადია, თუმცა გზის ფულსაც ახდევინებენ გამვლელ-გამომვლელს, მაგრამ თვით გზაზე ერთი კენჭიც არ გაგდებულა მოსაკირწყლავათ და არც ბარი დაკრულა, რომ წამხდარი ორმოები მოსწორებულიყო. სამგზავრო ეტლი ისე როგორ წავა, რომ ან ტალახში არ დაიფლოს, ან ხანის წყლის გადმოგდებულმა ტოტმა არ გადააბრუნოს, ან ოღრო-ჩოღრომ ბორბლები არ დაულეწოს. ვინ იცის, რამდენს მწუხარებასა და გაჭირებაში არიან ბაღდადს მიმავალი მგზავრები გზატკეცილის ფული ყველას ერთმევა, მაგრამ გზას-კი არა ეტყობა - რა თუმცა ხანის წყალზე ხიდია, მაგრამ ხანის წყალს აქეთ ერთი ტოტი გადმოვარდნილა, რომელიც წვიმიანობაზე საშინლად არღვევს გზას. როგორც ყოველმა მთის ხევმა, ხანის წყალმაც ძალიან ხშირად იცის გადარევა. მთაში რომ ერთი წვიმა დაჰკრას, ხანის წყლის გადმოვარდნილი ტოტი ისე გადიდდება, რომ სამგზავრო ეტლს შიგ გასვლა აღარ შეუძლიან. ყოველ წყალ-დიდობაზე სამგზავრო ეტლი ვეღარ გადის ტოტში. მგზავრები ღვთის ანაბარად ჰყრიან წყლის პირად და უცდიან შემთხვევას, იქნება სამადლოდ ვინმე ცხენით გაიყვანოს ხიდამდე. წელს რადგან არა ჩვეულებრივი ზამთარი იყო და ამ ქამადაც ხშირი წვიმებია, ხანის წყლის ტოტი ისე გაგიჟდა, რომ შეიძლება შიგ ნავი ჩადგეს. ხშირად ხდება, რომ ჩალანდრები საპალნიანს ცხენებსა და ხარებ-შებმულს ურმებს ჩააგდებენ ამ ტოტში გასასვლელად, მაგრამ ზოგს ცხენი წამოექცევა და საპალნეს წაართმევს, ზოგს ურემი გადაუბრუნდება. ღმერთს მადლობას სწირვენ, ცხენი და ხარ-ურემი მაინც რომ არ დაელუპათ, ტვირთსა და საპალნეს ვინ-ღა სჩივა. ხიდს გაღმა ხანის წყლის მარჯვენა კიდე ზვინით (насыпь) არის ამაღლებული. მდინარეს ეს ზვინი ისე შეუვიწროებია, რომ გზატკეცილი ეტლის ღერძებზე უგანესი აღარ არის; ასე რომ მგზავ-

---

ყველა იქ მყოფნი ორად განაწილდნენ, ზოგი ცისფერს რაინდს ემხრობოდა, ზოგი—თეთრს. დედოფალს გული უჩქროლავდა და, რაღა თქმა უნდა, ზეცას თეთრის რაინდის გამარჯვებას შესთხოვდა. ორივენი ისე მარჯვედ იბრძონდნენ, ისე ძლიერადა და ხელოვანად სცემდნენ ერთმანეთს შუბებს და ისე ლამაზადა და მაგრად ისხდნენ ცხენებზედ, რომ ყველა იქ დამსწრენი, თვით დედოფალიც-კი, ორისავე მეფედ ამორჩევას ნატრულობდნენ. ბოლოს მხედართ ცხენები დაელალათ და შუბები გადაემტვრათ. ზადიგმა გასამარჯვებლად ასეთი ხერხი იხმარა: მოუარა პრინცს მეორე მხრით, შეადგა ცხენს გავაზედ, მხრებში ხელები წაავლო, აიტაცა მაღლა და ძირს დასცა. შემდეგ თითონ ისევ ცხენზედ ამხედრდა და გარს უვლიდა მიწაზედ გაშოტილს ოტამს. მაყურებელთ აღტაცებით ყვირილი მორთეს:

— თეთრმა მხედარმა გაიმარჯვა, თეთრმაო!

აღშფოთებულმა ოტამმა წამოიწია და ხმალი ამოიღო ქარქაშიდგან. ზადიგიც თავისის მხრით ხმალ-ამოწვდილი გადმოუხტა ცხენიდგან.

აგერ კვლავ ორივენი ასპარეზზედ არიან, კვლავ იბრძვიან და ხან ერთი სძლევს მეორეს ღონითა და სიმარდით, ხან—მეორე. იარაღს ჩხარაჩხური გააქვს, ერთმანეთს სეტყვასავით აყრიან ხმალს, ხან თავში დაჰკრავენ, ხან გვერდით შემოუტრიალებენ, ხან გულზედ დააჩნევენ ნაკრავის კვალს... განზე უდგებიან, კვლავ უახლოვდებიან, ერთმანეთსა ჰზომავენ თვალით, ეტაკებიან, გველსავით ეხვევიან და იკლანკებიან და ლომსავით იბრძვიან. ნაკრავი ყოველ წუთს ნაპერწკალს ნაპერწკალზე გამოსცემს და აკვესებს.

ბოლოს ზადიგი ერთის წუთით შედგა, მოისაზრა რაღაც და ისევ ხერხს მიჰმართა: ეძგერა უცბად ოტამს, გადააქცია და იარაღი ახსნა. დამარცხებულმა ოტამმა შესძახა:

— ოჰ, თეთრო მხედარო, შენ გარგუნა ბედმა წილად ბაბილონის მეფობაო.

დედოფალი აღტაცებული იყო. ხალხმა ცისფერი და თეთრი რაინდი თავ-თავისს სადგომში დიდის ამბითა და ვაშა-ვაშათი მიაცილა. ამ გმირთ ორი მუნჯი ემსახურებოდა და ჰფარეშობდა. რაღა თქმა უნდა, ადვილად მისახვედრია, რომ დედოფლის პაწია მუნჯი ზადიგთან იყო. ბოლოს მებრძოლნი მარტოდ-მარტონი დარჩნენ, ყველანი დაიშალნენ მეორე დღემდე: მეორე დღეს-კი გამარჯვებული უნდა წამდგარიყო მოგვთ-მთავრის წინაშე. ზადიგს თუმცა სიყვარულით აძგერებული გული არ უსვენებდა, მაინც ისე მოიქანც-მოიღალა, რომ ტკბილად მიეძინა. იტობადი იმის ახლო იწვა, მაგრამ არ ეძინა-კი. შუაღამისას წამოდგა ეს სულით მახინჯი კაცი, შევიდა ზადიგის საწოლში, იმისი საჭურველი აიღო და თავისი-კი იქ დასტოვა.

გათენდა დილა, იტობადი ამაყად წარსდგა მოგვთ-მთავრის წინაშე და გამარჯვებულად აცნობა თავი. ამას არავინ მოელოდა, მაგრამ იმ დრომდე მოხდა ეს საქმე, რომ ზადიგს ჯერ კიდევ არ გაეღვიძნა. გაოცებული და სასოწარკვეთილი ასტარტა ბაბილონში გაეშურა. მთელი საასპარეზო დაცარიელებულიყო, ზადიგმა რომ თვალი გამოახილა. ეძება თავისი საჭურველი, ვერ იპოვნა და იძულებულ შეიქმნა მწვანე ჩაეცვა. გაოცებული და ცეცხლ-მოკიდებული ზადიგი საჩქაროდ შეიმოსა და საასპარეზოზედ გავიდა. ვინც კიდევ დარჩენილიყო და არ წასულიყო ჯერ, ისინი სტვენით მიეგებნენ გვიან გამოღვიძებულს რაინდს, შემოეხვივნენ, დასცინოდნენ და პირში ჰკიცხავდნენ. ზადიგი არას დროს ასე არავის დაემცირებინა, როგორც მაშინ იმ ხალხმა დაამცირა და შეურაცხჰყო თავისის უშვერის დასიცილით. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო ყმაწვილს კაცს, ხმლით გაჰფანტა ხალხი, მაგრამ სად წასულიყო? დედოფალს ხომ ვერა ჰნახავდა და თეთრს საჭურველს ვერ მოსთხოვდა, ხომ ვერ შეარცხვენდა და ვერ გააგებინებდა ხალხს, რომ იმან გამომიგზავნა თეთრი საჭურველიო.

დიაღ, დედოფალი თუ ამ დროს მწუხარებით ცრემლს აბნევდა, ზადიგი გაფთრებული და გაბრაზებული დადიოდა უგზო-უკვლოდ. ყმაწვილი კაცი ბოლთასა სცემდა ევფრატის ნაპირზედ და დარწმუნებული იყო, რომ უბედურად ყოფნა ზენაარის მიერვე მაქვს დაბედებულიო. ყმაწვილს კაცს თვალ წინ უდგა ყველა თავისი მარცხი, იმ დედაკაციდგან დაწყებული, რომელსაც ცალ-თვალანი ეზიზღებოდა, ამ უკანასკნელ შემთხვევამდე გამოვლილი.

— აი რა არის გვიან წამოდგომა და გამოღვიძებაო, ამბობდა იგი: შავი და ბნელი ძილი რომ არ დამწოლოდა, ბაბილონის მეფეც ვიქმნებოდი და ასტარტაც მე მეკუთვნებოდა. ცოდნა, ზნეობა, სიმამაცე და მხნეობა, ყველა ის სიკეთე, რაც-კი ზეცისაგანა მაქვს მომადლებული, ყველა აორკეცებს, ერთი-ორადა ჰხდის ჩემს უბედურებასა და ბედ-შავობასაო.

დიდხანს შესჩიოდა და საყვედურს უთვლიდა ასე ზადიგი განგებას. მზად იყო დაეჯერებინა, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ბედზეა დამოკიდებული, ბედი ბრმაა, კარგსა და ავს არ არჩევს და უფრო მჩვანე მხედარისთანანი კეთილდღეობენ იმისის წყალობით ამ ქვეყნადაო. ყმაწვილ კაცს ეზიზღებოდა და უმძიმდა მწვანე საჭურველის ტარება, იმ საჭურველისა, რომლის მიზეზითაც ისე დასცინეს და დაამცირეს. გაუარა ერთს ვაჭარს, მიჰყიდა სულ მცირე ფასად და სამაგიეროდ უბრალო ტანისამოსი გამოართვა. ამ ტანისამოსით გადავიდა ევფრატის მეორე მხარეს დაღონებული, სასოწარკვეთილი, გულ-ნათაღრი და ემდურებოდა მტრად გადაქცეულსა და შეუბრალებელს განგებას.

ორ-ანი

(დასასრული იქნება)

რი წამის-წამ ელის ან მარჯვნივ არ გადავარდეს ღრეში, ან მარცხნივ.

ბალდადამდე ორი წყალია გასასვლელი: ყვირილა და ხანის წყალი. ორივეზე ხიდია. ამ ჟამად ყვირილის ხიდი წახდა და ბორანით გადიან, მაგრამ ვაი იმ გასვლას. მგზავრები ბორანზე შეყენებულს სამგზავრო ეტლიანა მუდამ შიშში არიან, რომ გალომებულმა მდინარემ არ შთანთქას თავისს ზვირთებში. ისიც არ უფიქრნია ინჟინერს, რომ საბელი გაება და ზედ ბორანი მოეკიდნა. ბორანი ნიჩბებით გაჰყავთ და ხანდახან ბორანს თავის მგზავრებიანა წყალი ნახევარ ვერსზე წაიღებს ხოლმე. ვინ არის მშველელი?!

გ. წერეთელი

---

## წერილი ჯავახეთიდამ.

(„ყეენობა“ ჯავახეთში და ზოგიერთი ცრუ-მორწმუნეობა ქართველებისა)

დიდ-მარხვის პირველი დღეა. ქართველების სოფლებში მიყრუებული სიჩუმე ჰსუფევს; ყველას, ვისაც-კი კარ-ბანზედ დაინახავთ, თავ-პირი ჩამოსტირის, დაღვრემილია და ფიქრადაც არ მოსდის წინა-დღეებში გატარებული „ლხინი-სუფრა“...

დღეს „ყეენობ-ბერიკობაა“ და ამ დღეს ყველიერზედ ნაკლები სმა-ჭამა და დროების გატარება არ არის. მთელი სოფლის ვაჟკაცობა გროვდება ერთს დიდს დარბაზში, იწვევენ მედაფ-მეზურნეს და წინადვე ამორჩეულს ამ დღისათვის «ყეენს», კაცსა ცოტად ხანში შესულს და მასხარაოხუნჯს [1]). როდესაც ვაჟ-კაცობა სულ მთლად შეგროვდება, მედაფ-მეზურნეები უკრავენ. ამ დროს სხვა ხალხი ზოგი თამაშობს და ზოგიც ჰკაზმავს „ყეენს“ ამ გვარად: პირველად აცმევენ გადმობრუნებით დიდს წამოსასხამს ტყავს. ამას ზემოდგან, ქამრის ნაცვლად, უჭერენ თივისგან დაგრეხილს მსხვილს თოკს, „თულო“-ს, თავზედ, ქუდის მაგივრად, ჰხურავენ თივისაგანვე გაკეთებულს, კრუხის საბუდარის მსგავსს ქუდს, თავპირს სულ მთლად უშავებენ წყალში გახსნილის ბუხრის მურით, ჰვარტლით და პირში სჩრიან ორს ცხვრის კოჭს, რომლებსაც „ყეენი“ თითონვე ისწორებს, ე. ი. ერთ კოჭს მარჯვენა ლოყისაკენ იდებს და მეორეს მარცხენისკენ. ამ კოჭების ლოყებში ჩადება იმიტომ იციან, რომ «ყეენს» ლოყები დაებეროს და რიხიანი გამოჩნდეს და ამასთანავე კოჭები რომ პირში ეწყობა, ლაპარაკითაც სხვანაირად და საზიზღარდ ილაპარაკებს. „ყეენი“ შეკაზმული და გამზადებულია. ახლა „ბერიკა“ იკაზმება. ბერიკაც იცვამს გადმობრუნებულს ტყავს, მხოლოდ მოკლეს; თავზედ იხურავს ძველ-დაგლეჯილს, ნაბდებისაგან შეკერილს წოწოტა ქუდს, ხელში იღებს ხისაგან გათლილს ხმალს და გადის დარბაზის შუა-გულზედ სათამაშოდ ხმლის ქნევითა და კიჟინით. ამ დროს ერთ-ორ მუჯლუგუნს ბერიკა ყეენს სცემს. ეს უკანასკნელი დაალრაჭუნებს პირში ჩადებულს კოჭებს, მოიკრეჭავს თეთრს კბილებს შავად შემურულს პირი-სახეზედ და ზარმაცად ტრიალებს, თამაშობს ბერიკასთან ერთად შიგ შუა დარბაზში.

მზე კარგად შემაღლებულია ცაზედ. თამაშობის შემდეგ ყეენ ბერიკა და ხალხი გამოდის დარბაზიდგან კარში: სულ წინ მედაფ-მეზურნე მიუძღვის, ამათ ნელ-ნელა, ბეხი კამბეჩივით უკან მისდევს ყეენი, რომელსაც ცალ ხელში ქაღალდის ნაფხრეწი უჭირავს და მეორეში—ნახშირი, ვითომ-და საწერ-კალამი; ყეინს გარეშემო მისდევენ სოფლის ბიჭ-ბუჭები და ვაჟკაცები. დარბაზიდამ ხალხი სულ მთლად რომ გამოიკრიბება კარში, ყეენი ჩერდება და რაღაც ბრძანებას აძლევს ბერეკას. ამ დროს კვლავ უკრავენ დაფა-ზურნას. ბერეკა ხმლის ქნევითა და კიჟინით გარბის წინ, სხვა სახლების კარებებისაკენ. მედაფ-მეზურნე ბერეკის გზას მისდევს. ყეენს, ე. ი. „ყადს“, როგორც ჯავახები უწოდებენ, შესმენ ვირზედ და ისე დაჰყავსთ კარ-დაკარ. „ბერეკა“ თვითეულ სახლში შედის და ატყობინებს, რომ „ყადი“ მოდის და „ხარჯი“ მოამზადეთო. „ყადი“, მედაფ-ზურნე და ხალხი ამ დროს კარზე იცდის, ვიდრე „ბერეკა“ სახლიდგან „ხარჯს“, გარდასახადს გამოიტანდეს და, თუ „ბერეკამ“ დაიგვიანა გამოსვლა, „ყადი-ყეენი“ აკრაჭუნებს კბილებს და ღრღნის კოჭებს, ნიშნად იმისა, რომ „ხარჯის“ მოცემა დააგვიანესო. თუ მაინც-და-მაინც „ბერეკას“ დაუგვიანდა გამოსვლა სახლიდგან, „ყადი“ ჩამოხდება ვირიდამ და ზურნაზე ოხუნჯურად ჰკუნტავს-თამაშობს. ბოლოს „ბერეკაც“ გამოდის სახლიდგან და ხელში ბოთლით არაყი უჭირავს. არაყს იქვე სმენ. სახლის პატრონმა არაყს გარდა უნდა გადაიხადოს ნახევარ კოდი პურიც. თვითეული ოჯახობა ამ „ხარჯს“ იხდის; არაყს მაშინვე სმენ, ხოლო შეგროვილ პურს ჰყიდიან ფულზედ და ამ ფულით გახსნილებისას ყიდულობენ სასმელს, საკლავს და დროებას ატარებენ. ამ „ყეენობა“ — ბერეკობას და დროების გატარებას ბოლოს ის შედევიც მოსდევს ხოლმე, რომ მოქეიფეთა შორის აურზაურიბა ასტყდება და ლხინი ჭირად გარდაექცევათ ხოლმე...

ეს ჩვეულება წინად უფრო იყო გავრცელებული, მაგრამ ამ უკანასკნელს წლებში-კი იშვიათი გახდა...

**

არც ჯავახეთი ჩამოურჩება სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობით ქართლ-კახეთს, იმერეთს, სამეგრელოს, სვანეთს, აფხაზეთს, თუშ-ფშავ-ხევსურეთს და სხ.

ჯავახს თუ რომელისამე სახლის წევრი გაუხდა ავად, მაშინვე მიდის თათრის მოლებთან «დასახედავად» (საკითხავად). მოლები თავისებურს რჩევას და წინასწარმეტყველებას უწევენ ავადმყოფის პატრონს. მოლა ეუბნება: «ბილირსან, დოსტუმ, ნადირ? სიზინ ფელამბარ-ლარლარ ყურბან ისტიერლარ, ბირ იახში თაელი ყოინი ქას, იარისინი მანა იოლლა, იარისინი სანინ ყომშილარინა იედირ; უჩ გვინდან ხორა ხასტან აიაღა ყალხარ»-ო (იცი, მეგობარო, რა არის? თქვენი წინასწარმეტყველები სალმთოს ითხოვენ, ერთი კარგი მსუქანი ცხვარი დაკალი, ნახევარი მე გამომიგზავნე, ნახევარი შენ მეზობლებს აჭამე და სამის დღის შემდეგ ავადმყოფი ფეხზედ ადგებაო). უჯერებს უგუნური ჯავახი მოლას, მაგრამ ავადმყოფი კი ისევ ლოგინსა ჰლესავს. მოლა ახლა სხვა რასმეს ასწავლის, ახარჯვინებს ბევრს ფულს, მაგრამ ავადმყოფს მისი რჩევა—საშუალება მაინც არასა ჰშველის...

ხალხს მაზრის ექიმები ბევრად არად მიაჩნია და იშვიათადაც მიჰმართავენ ხოლმე ამ ექიმებს. ეს გარემოება მეტად სამწუხაროა, მაგრამ ვის გააგონებ და შეასმენ, რომ ექიმებსა და მტყუანა მკითხავ—მოლებს „შუა უძევს დიდი ზღვარი“.

თვით ჯავახების მანდილოსნებშიაც გაზშირებულია ეგრეთ წოდებული „ფალჯობა“ (მკითხაობა). ესენი მკითხაობენ ლობიოს მარცვლების გაშლით და ტყობულობენ ავადმყოფის საბოლოვოს, მგზავრის ამბავს, ე. ი. მალე მოსვლასა და დაგვიანებას და სხვა ამ ნაირებს!..

„ხიდირ-ელაზის“ (სურბ-სარქისის) კვირასვე, ახალგაზდა გასათხოვარი ქალი, ან ვაჟი (დასანიშნი) ვითომ-და ტყობულობს, ვისზედ დაინიშნება. ამ შემთხვევაში ასე იქცევიან: მთელი კვირა უნდა იმარხულოს გასათხოვარმა ქალმა, ან ვაჟმა, კვირა საღამოს, დაწოლის დროს სჭამს „მარილკვერას“ და დაიძინებს. ვინც სიზმარში წყალს დაალევინებს, იმაზედ დაინიშნება!..

თუ ეს ჩვეულებანი არ მოუწონე ჯავახელს, ამას გეტყვის: თქვენ არა გწამთ-რა. მაინც ეხლანდელები ეგეთი ხალხი რომ გახდა, ამიტომ ყოველი „ხეირი და ბარაქა“ წამოგვიწყდა. „ქასტანა ყაზლუნდა ჩიხტი, ყაზული ბაგანმადი“-ო (წაბლი ქერქიდგან გამოძვრა და ქერქი აღარ მოეწონაო) ხშირად გაიგონებთ ჯავახელებისგან ამ თათრულს ანდაზას, თუ რომელიმე იმათი ცრუ-მორწმუნეობა და ჩვეულება არ მოუწონეთ.

ქუხილისა და ელვის დროს თუ სეტყვაც მოდის, ჯავახის პირიდგან ამას გაიგონებთ: „ბრმა ელიავ, მთა-მთა იარე!“ მათის აზრით, სეტყვა და ელვა-ქუხილი წინასწარმეტყველის ილიას საქმეა და ამიტომაც სთხოვენ, რომ იმათს დათესილს მინდვრებს აცდინოს ელიამ „სეტყვა და მთა-მთა არონინოს“... ელვა-ქუხილისა და სეტყვის დროსვე ტაფაში მარილს ჰყრიან და კარის ზღრუბლთან სდებენ. იმათის აზრით, ეს იმასა ნიშნავს და იმისი საშუალებაა (ისიც უებარი), რომ სეტყვა მაშინვე გაწყალდებაო.

შემდეგში ვეცდებით მკითხველებს ვუამბოთ წესი და რიგი მიცვალებულის დასაფლავებისა ჯავახეთში.

ვ. კოპტონაშვილი

[1]) სოფ. კოთელიაში, წინად, ყოველს წელს ივანე ზარიძეს ირჩევდნენ „ყეენად“, რომელიც, როგორც ეხლა მაგონდება, მეტად ოხუნჯობდა და მთელი სოფელი სიცილით ჰყავდა დახოცილი.

აკტ.

---

# წვრილი ამბები

## უცნაური სენი.

ამ წელიწად ნახევრის წინად პარიჟის ერთმა ექიმთაგანმა გამოჩენილს პროფესორს შარკოს სოცარი ავადმყოფი გაუგზავნია. ეს ავადმყოფი სულით სნეული იყო თურმე. ამ სნეულებას ძველად „avtomatisme ambulatoire“-ს უწოდებდნენ. ავადმყოფი ცნობას ჰკარგავს, ე. ი. ველარა ჰგრძნობს თავისს მოქმედებას, თუმცა დადის და ჰმუშაობს-კი, ერთის სიტყვით, ეს კაცი ისევე სცხოვრობს, როგორც ყველა ჯან-საღი ადამიანი ამ ცნობის დაკარგვის დროს. შემდეგ გონზედ მოდის, თითქოს დიდის ძილიდგან გამოჰფხიზლდაო, თვითვე გაოცებული და გაშტერებული. შარკომ გასინჯა ავადმყოფი, ბოლიბრომის ელექსირი გამოუწერა და სნეულს გაუმჯობესობა დაეტყო. ამის გამო შარკოს წამლის ძლევა შეუწყვეტია. ავადმყოფი თითქმის სრულიად განკურნებულა, რომ უეცრად კვლავ ცნობა დაუკარგავს, დაუკარგავს ისე ხანგრძლივ, რომ სამკურნალო მეცნიერებაში ჯერ ასე ხანგრძლივად ცნობის დაკარგვის მაგალითი არ იპოვება.

ამ ავადმყოფს ლეონ მენარი ჰქვიან, შუა ტანისაა, გამხდარ-გუშტი, და მშვიდი, გონიერი სახე აქვს. მენარს ცოლი ჰყავს და მამაა ორის ქალიშვილისა, რომელნიც ათისა და ოთხის წლისანი არიან. მამა ორმოცის წლისაა და ცხრამეტის წლის განმავლობაში ერთსა და იმავე კაცთან უმუშავნია. ხელობით მეზრინჯაოა. ავადმყოფს ცხოვრება გაარიანი აქვს, ლამაზად მორთული სახლი უჭირავს სამ-ოთახიანი. ცოლიც გამრჯე დედაკაცია და ჯან-საღი, ლამაზი უმაწვილები ჰყავს. ყოველ დღე მენარი დადიოდა თურმე მუშტრებთან და ნამუშავარი დაჰქონდა აქეთ-იქით.

სწორედ ამ ორის წლის წინად, 1 მარტს 1887 წლისას, საშინელი საქმე დაემართა: თანხმობის მოედანზედ იყო და თითონაც-კი არ იცოდა, რა გვარად ამოუყვა ამ ადგილას თავით. ასე ეგონა, რომ მარსის მინდორზედ უნდა ვიყო და არა აქაო, მაგრამ თანხმობის მოედანზედ-კი იყო და რიყეზედ მიდიოდა. ამ დროს მთელს ტანში რაღაც სიმძიმე იგრძნო, ფეხები დაბებრებული ჰქონდა, თითქო ბევრი ევლოსო, და საშინელი წყურვილი აწუხებდა. წავიდა თავისს სახლში და საშინლად შეწუხებული დახვდა ცოლი: ორი დღე-ღამე დაკარგული იყო და იმისი ამბავი არ იცოდნენ? სად ვიყავი, რას ვაკეთებდი ოც-და-თექვსმეტის საათის განმავლობაშიო, ჰკითხავდა თავისს თავს და პასუხი-კი ვერ მიეცა, არა ახსოვდა-რა.

სამს თვეს შემდეგ, ივნისში, მოუვიდა, ვითომ კიდევიძებ და მხარზე ვიღაცამ ხელი დამკრაო. გამოახილა თურმე თვალები და ჰნახა, რომ მიწაზედ იწვა, ხიდს ქვეშ, მდინარეს ახლო, და გვერდზედ ვიღაც უცნობი უდგა. მენარმა იკითხა—სად ვარო?.. ეს ადგილი სენა იყო, ანიერის ხიდი, და ის უცნობი-კი-მეთევზე.

მენარი კვლავ წავიდა სახლში და შეიტყო, რომ თურმე ორი დღე-ღამე და რვა საათი შინ არ შესულიყო. ამ დროს შესახებაც არა ახსოვდა-რა.

ორს თვეს შემდეგ კვლავ მოუარა ამ სნეულებამ.

აგვისტოს ერთს ცხელს დღეს სენიდგან გამოათრიეს თურმე მენარი, რადგან მდინარეში ჩავარდნილიყო და სცურავდა. ეხლა-კი მართლად, ოდნავ ახსოვდა, რომ რაღაც სოფელი და განსაკუთრებულის სახის წისქვილი ენახა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ასეთი წისქვილი Meaux-ში ყოფილიყო. სახლში ამ დროს მენარი სამს დღე-ღამეს არ დაბრუნებულიყო.

აი ამ ამბებ შემდეგ დაუწყო შარკომ ავადმყოფს ბოლიბრამის ელექსირით წამლობა. ხოლო 19 იანვარს, თსუთმეტს თვეს შემდეგ, როცა მენარი სახლში ჰბრუნდებოდა ეტლით და ჯიბეში 350 მანათი ედო, უბრძანა თურმე მეეტლეს—შესდექი და დამიცადე, მინდა გავიარ-გამოვიაროო...

მენარი გონებაზედ მხოლოდ რვა დღის შემდეგ მოვიდა და რომელღაც უცნობ ქალაქის ხიდზედ იხილა თავი.

— მითხარით, თუ ღმერთი გწამსთ,— მიუბრუნდა თურმე მენარი გამვლელს:— რკინის გზის ვზა სათ არის?

— აიგერ, სამის ქუჩაზედ მიბრძანდით, წინ ხიდი დაგხვდებათ, იქით მხარეს გადადით და რკინის გზის სადგურს მიადგებით.

სამის ქუჩა? მენარს ასეთი სახელი თავის დღეში არ გაეგონა. ნაჩვენებ გზას დაადგა და მართლაც რკინის გზის სადგურთან მივიდა. ავადმყოფი ბრესტში ყოფილიყო.

მაშ ასე, პირველად მენარს ოც-და-თექვსმეტის საათით დაუკარგავს თვითმცნობელობა, მეორედ—ორის დღით, მესამედ—სამის დღით და მეოთხედ—მთელის კვირით. ხოლო ვინ იცის, კიდევ რამდენს ხანს გასტანს ეს სენი, ან თანდათან როგორ გაუძლიერდება?

და თუ შარკომ ვერ მოარჩინა, მერე როგორ უნდა იცხოვროს ავტომატიურად? როცა მენარი ბრესტის ხიდზედ გამოერკვა, მენარს ფეხთსაცმელი სუფთა ეცვა, ტანისამოსი რიგზედ ჰქონდა და არავითარიმე უთანასწორობა არ ეტყობოდა. მაშასადამე, ბრესტში რკინის გზით წასულა მენარი, გაუვლია სხვა-და-სხვა ქალაქები, სხვებსავით უცხოვრია, სასტუმროებში ჩამომხდარა და ფული უხარჯავს და არავისთვის ეჭვიც-კი არ აუღებინებია, ისეთ გონიერ და ჩვეულებრივ ადამიანად ხვევნებია ყველას. ამასობაში თითონ-კი აღარა ახსოვს-რა, სად იყო, როგორ, რას აკეთებდა, ვის შეხვდა, ვის ელაპარაკებოდა და სხვანი? ნუ თუ საშინელება არ არის ამისთანა სიცოცხლე?..

---

# დეპეშა

6 მარტი

ჩარჯუი. ბუხარაში მშვიდობიანობა ჰსუფევს. აბდურახმანი მაზარიდგან უკვე წავიდა შერიფში, რომელიც ქაბულში მდებარეობს.

ბელგრადი. გუშინ სასახლის წინ შეიკრიბა ხალხი ჩირაღებითა და მაშხალებით. ხალხი დიდის ამბით მიეგება მეფე ალექსანდრეს. მილანმა ნება-რთვა სთხოვა შვილსა და რეგენტებს და მადლობა უთხრა ხალხს, რომელმაც სიყვარული და ერთგულობა გამოუცხადა მეფე ალექსანდრეს. მილანმა მიიღო სხვა-და-სხვა კორპორაცია და საზოგადოება, აგრეთვე ოფიცრები და იმათი ცოლები, რომლებმაც მილანს მიართვეს ვერცხლის გვირგვინი. დღეს მილანი წავა ვენას.

ვენა. ნაჩევიჩი დაინიშნა ბოლგარიის აგენტად ვენაში.

პეტერბურგის ბირჟა, 3 მარტი

| | მყიდველ. | გამყიდველ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 43 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 275½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 248½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97¾ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 98¼ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 83 „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვ.ით (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადებია—6.

მარტი 31 დღით არის.

8 დღე ოთხშაბათი. ღირსისა ნიკოდიმელ ეპისკოპოსისა. კათოლ. იოანე ღვთისმეტყველისა. მაჰმად. მე-18 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—3, ჩადის 6—13. მთვარე 19 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | › |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჭვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

### ტფილისსა და სურამს შუა

| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | — | — | 50 | ტფილისი | 8 | 24 | — | — |

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოებამ“ განიზრახა შეაგროვოს და დაბეჭდოს სახალხო ზღაპრები და ლეგენდები.

ამისათვის მიჰმართავს ყველას და უმორჩილესად სთხოვს, არ დაიშურონ და გამოუგზავნონ საზოგადოების გამგეობას ვისაც ამ გვარი რამ ნაწარმოები მოეპოვება, ან შემდეგში მოიპოვებს.

ამასთანავე გამგეობა საზოგადოებისა საჭიროდ ჰრაცხს საყოველთაოდ გამოაცხადოს, რომ ვინც რაიმე ზღაპარს თუ ლეგენდას წარმოუდგენს საზოგადოებას, თითო ღირსეულ ზღაპარსა თუ ლეგენდაში მიიღებს არანაკლებ ხუთის დაბეჭდილ წიგნისა, სადაც კრება იქმნება ზღაპარ-ლეგენდებისა.

ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Дворян. Земел. Банка, №№ 120, და 121. Канцелярія Общества грамотности.

(10—4)


საპონი

პროვიზორის

**ა. მ. ოსტროუმოვისა**

**თმის ჩამოსვლისა და თეფოს ასაცილებლად.**

სიყალბის ასაშორებლად, **ნამდვილი საპონი** ითხოვეთ, ისეთი, რომელსაც იარლიყზე უზის მთავრობის მიერ დამტკიცებული მარკა

**№ 3374.**

ისყიდება თითო 30 კაპ. დიდი ნაჭერი ჰღირს 50 კაპ. იშოვება აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

საწყობი იმყოფება მოსკოვს, პოკროვკას, მაშკოვის შესახვევში, მერკულოვის სახლებში. (10—7)


## წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ჭყონიაძის მიერ. საგან | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ | 20 |
| დავით აღმაშენებლის ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| ტრიბიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გუდიასშვილისა | „ | 15 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ | 15 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა | „ | 10 |
| სამი კომედია, ა. ცაგარლისა | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა | „ | 50 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ | „ | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. | „ | 30 |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 › | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 › | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 › | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 › | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 › | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.


## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად **ნაღდ ფულზე** იყიდის ოც და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად** (25 კაპ.); ვინც იყიდის **ათს** ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად** (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—**ცამეტ შაურად** (65 კაპ.), ვინც **ასსა** და მეტსა,—**სამ აბაზად** (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ **სამი შაური** უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

Доз. ценз. Тифлисъ 7-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т.-Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე